დანართი №1

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს 2026 წლის საგრანტო კონკურსის -

„საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში“

დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) 2026 წლის საგრანტო კონკურსის - „საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში“ (შემდგომ - კონკურსი) დებულება (შემდგომ - დებულება) აწესრიგებს საგრანტო პროექტის - „გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის“ (შემდგომ - საგრანტო პროექტი) დასაფინანსებლად საგრანტო კონკურსის წესსა და პირობებს, კონკურსში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებსა და საკონკურსო კომისიის (შემდგომ - კომისია) საქმიანობას.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია:

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (შემდგომ - გაერო) საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის შერჩევა;

ბ) ახალგაზრდებისთვის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და გაეროში მიმდინარე სხვა საერთაშორისო პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

გ) ახალგაზრდებისთვის საქართველოს დასავლური მისწრაფებების, მათი რეალიზებისა და მსოფლიოს კეთილდღეობის საკითხებში ახალგაზრდების როლის მნიშვნელობის გაცნობა;

დ) საქართველოში, განსაკუთრებით კი ოკუპაციის პირობებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების, ასევე, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრა და საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეების ინტერესებისა და საჭიროებების გაეროს დღის წესრიგში შეტანა;

ე) საქართველოში გაეროს სააგენტოების, ევროკავშირის დელეგაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება ახალგაზრდულ სფეროში არსებული პრობლემებისა ან/და მათი მოგვარების გზების შესახებ.

მუხლი 3. გრანტის საერთო მოცულობა

1. საგრანტო პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს.

2. საგრანტო პროექტის განსახორციელებლად, კონკურსში გამარჯვებულს სააგენტოსგან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა მიეცემა ავანსის სახით, სპეციალურად საგრანტო პროექტისთვის გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე, უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

მუხლი 4. გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის ფუნქცია-მოვალეობები

გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის ფუნქცია-მოვალეობებია:

ა) გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სოციალურ–ეკონომიკური საბჭოს ახალგაზრდულ ფორუმში მონაწილეობა და სიტყვით გამოსვლა;

ბ) გაეროში, ახალგაზრდა ელჩების ინსტიტუტის ფარგლებში მიღებული ფორმატის შესაბამისად, არაფორმალური შეთანხმების პროცესებში მონაწილეობა და რეზოლუციებისა და დეკლარაციების პროექტების ტექსტებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენა;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა (შემდგომ - სამინისტრო) და სააგენტოსთან კოორდინაციით, საქართველოში მოქმედ გაეროს სააგენტოებთან, გაეროს მუდმივ კოორდინატორთან, ევროკავშირის დელეგაციასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა, მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრება, ახალგაზრდების წინაშე არსებული საჭიროებების, პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების წარმოდგენა;

დ) საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში შეხვედრების ორგანიზება, კერძოდ, სკოლის მოსწავლეებთან, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან, ახალგაზრდა პროფესიონალებთან, ე.წ NEET ახალგაზრდებთან (რომლებიც არ არიან დასაქმებულნი, არ არიან ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში, არ მონაწილეობენ არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში) შეხვედრა;

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და საზოგადოებისთვის გაცნობა, სოციალური ქსელებისა და თემატური ბლოგების/სტატიების მეშვეობით, მათ შორის, წერილობითი ანგარიშების საშუალებით;

ვ) მდგრადი განვითარების დღის წესრიგის პოპულარიზაცია;

ზ) სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის უშუალო კომუნიკაციის ხელშეწყობა, ამისთვის კი - შეხვედრების ორგანიზება;

თ) სააგენტოსთან ერთად ახალგაზრდების მონაწილეობის, მოხალისეობის, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის პოპულარიზაცია;

ი) მოხალისეებთან თანამშრომლობა, რომლებიც გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელს დაეხმარებიან მანდატით დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში;

კ) გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის შემდეგი წარმომადგენლისთვის რჩევების მიცემა;

ლ) ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 5. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს ხელმძღვანელი, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის შესარჩევი კონკურსს გამოცხადების შესახებ შეტყობინება ქვეყნდება სააგენტოს სოციალური ქსელის საშუალებით.

3. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საგრანტო პროექტის მიზნებსა და ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს;

ბ) სააგენტოს დასახელებას, მისამართს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და ტელეფონის ნომერს;

გ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

დ) განაცხადებისა და სხვა სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალსა და მათი წარდგენის ვადას;

ე) კონკურსის ეტაპებს.

5. კონკურსში მონაწილეობის მიზნით, საკონკურსო განაცხადები მიიღება ელექტრონული ფორმით, კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

მუხლი 6. ძირითადი მოთხოვნები

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 18-29 წლის (კონკურსის დასრულებამდე კანდიდატის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 29 წელს) საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლება და არ ყოფილა შერჩეული გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლად.

2. კონკურსში მონაწილე კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ქართულ და ინგლისურ ენებს (წერა და საუბარი).

3. კონკურსში მონაწილე კანდიდატისთვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივლისის №125/ნ ბრძანებით დამტკიცებული სააგენტოს დებულება;

ბ) საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №606 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“;

გ) „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054-რს დადგენილება;

დ) გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები;

ე) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250 (UNSCR 2250) ,,ახალგაზრდები, მშვიდობა და უსაფრთხოება”.

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა ფლობდეს ინფორმაციას ახალგაზრდულ სფეროში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, მათ შორის, სააგენტოს, საქართველოში გაეროს წარმოდგენილი სააგენტოებისა და ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

მუხლი 7. კანდიდატების მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია

1. კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) სრულყოფილად შევსებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც ასევე მოიცავს:

- ესსეს;
- სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტს;
- წერილობით თანხმობას პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ბ) CV (ქართულ და ინგლისურ ენაზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ბაკალავრის/მაგისტრის დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა-ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის ფუნქცია-მოვალეობებს და მოიცავდეს დეტალურ აქტივობებს 30 000 ლარზე გაწერილი ბიუჯეტით.

მუხლი 8. სააგენტოს უფლებამოსილება

სააგენტო უფლებამოსილია:

ა) კონკურსის გამოცხადების შემდეგ, კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში შეიტანოს ტექნიკური ხასიათის შესწორება;

ბ) გაავრცელოს კონკურსის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალური სოციალური მედიის, ასევე სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით;

გ) შეწყვიტოს გამოცხადებული კონკურსი სააგენტოს რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის ან/და სხვა გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, რის შესახებაც უნდა აცნობოს კანდიდატებს;

დ) განახორციელოს კონკურსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 9. კანდიდატის უფლება-მოვალეობები

1. კანდიდატი უფლებამოსილია:

ა) განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 2 დღისა, მიმართოს სააგენტოს განაცხადის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოითხოვოს ინფორმაცია მიღებული ქულების შესახებ;

გ) განახორციელოს კონკურსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

2. კანდიდატი ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; ასევე, განახორციელოს სხვა ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს ამ დებულებიდან და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან.

მუხლი 10. საგრანტო კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი შედგება ორი ეტაპისგან:

ა) განაცხადების გადარჩევა (I ეტაპი) - კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის დადგენა ამ დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან და მათი კომისიისთვის წარდგენა;

ბ) შეფასება (II ეტაპი) - პირველი ეტაპის შედეგად შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება (ინგლისურ ენაზე); ესსეს თემატიკაზე კანდიდატის საჯარო გამოსვლისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს/ახორციელებენ სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი.

3. პირველ ეტაპს გადალახავს ის კანდიდატი, რომლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება ამ დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

4. კონკურსანტი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ამ დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს გამოეთიშება კონკურსს.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

6. სააგენტოს ინიციატივით, კომისიის წევრებისა და მონაწილის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია, განხორციელდეს კანდიდატთან გასაუბრებისა და საჯარო გამოსვლის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

მუხლი 11. საკონკურსო კომისია

1. კანდიდატთა შეფასებას (II ეტაპი) ახორციელებს სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) სააგენტოს ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) სამინისტროს წარმომადგენელი - კომისიის წევრი;

გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი - კომისიის წევრი;

დ) გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისის წარმომადგენელი საქართველოში - კომისიის წევრი;

ე) 2025 წელს საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში - კომისიის წევრი;

ვ) სააგენტოს თანამშრომელი - კომისიის მდივანი (ხმის უფლების გარეშე).

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა, სააგენტოს ინიციატივით, კომისიის წევრად (ხმის უფლებით) შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა პირი.

მუხლი 12. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება ხმის უფლების მქონე კომისიის წევრთა (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე) ნახევარზე მეტი.

3. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

4. შეფასების ეტაპზე (II ეტაპი), კანდიდატები ფასდებიან წარმოდგენილი დოკუმენტების, საჯარო გამოსვლისა და გასაუბრების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა სისტემის საშუალებით.

5. კონკურსში გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც შეფასების ეტაპზე, კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ქულების დაჯამების შედეგად, დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას. კანდიდატთა მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, გამარჯვებული კანდიდატი გამოვლინდება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

6. თუ კანდიდატთა შეფასების პროცესში მონაწილეობს კომისიის წევრთა განსხვავებული რაოდენობა, კანდიდატ(ებ)ის შეფასება განისაზღვრება მიღებული ქულების პროპორციული გადაანგარიშებით.

7. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი.

8. კომისია უფლებამოსილია, საქმიანობა წარმართოს (მათ შორის, კანდიდატის შეფასება) ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

9. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრები და მდივანი.

10. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, კომისიის მდივანი სააგენტოს ხელმძღვანელს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს კონკურსის შედეგებს და შესაბამის ოქმს.

მუხლი 13. ინტერესთა კონფლიქტი

კომისიის წევრი ვალდებულია უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად. თუ მას წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებულია, დაუყოვნებლივ განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და განახორციელოს თვითაცილება.

მუხლი 14. საგრანტო ხელშეკრულების დადება და მანდატის ხანგრძლივობა

1. სამართლებრივი ურთიერთობა სააგენტოსა და კონკურსში გამარჯვებულს შორის წესრიგდება ამ დებულებითა და საგრანტო ხელშეკრულებით (შემდგომ - ხელშეკრულება).

2. ხელშეკრულების დადების საფუძველია კომისიის გადაწყვეტილება გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

3. სააგენტოსა და კონკურსში გამარჯვებულ პირს შორის ხელშეკრულება ფორმდება სააგენტოს ხელმძღვანელისთვის ამ დებულების მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად

კონკურსის შედეგებისა და შესაბამისი ოქმის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

4. სააგენტო უფლებამოსილია, ხელშეკრულების გაფორმებამდე, კონკურსში გამარჯვებულთან მოლაპარაკების საფუძველზე, დააზუსტოს/შეცვალოს საგრანტო პროექტის არაარსებითი პირობები.

5. ხელშეკრულება არ გაფორმდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) არსებითად შეიცვალა გარემოება, რის გამოც შეუძლებელია ხელშეკრულების დადება;

ბ) გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღმოიფხვრა ხელშეკრულების დადების ხელისშემშლელი გარემოება, სააგენტო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების ან ახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების გაუქმებისა და ახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

8. გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელს მანდატი ენიჭება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და გრძელდება 2027 წლის 31 იანვრის ჩათვლით.